სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული
ცენტრის დირექტორი

23/07/2025

MES 3 25 0000905313

ბრძანება

„მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №225 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2025 წლის 10 ივლისის №851045 და 2025 წლის 16 ივლისის №874034 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №225 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი" ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ამოქმედებამდე მოქმედი მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებულ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოვიდეს 6 თვის განმავლობაში.
3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
4. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა